ანოტაცია

ბიოკოქცი (Biococc)

Toltrazuril

პერორალურად მისაღები ხსნარი

გამოიყენება ვეტერინარიაში

სამიზნე სახეობა: ბროილერი, საჯიშე ფრინველი, ინდაური, ბატი, იხვი

ფარამაკოთერაპიული ჯგუფი: ანტიპროტოზოული საშუალება. Atc vet.code: QP51BC01;- Toltrazuril

შემადგენლობა

1მლ შეიცავს: ტოლტრაზურილს 25 მგ.

დამხმარე ნივთიერებები: პოლიეთილენგლიკოლი - 1 მლ-მდე.

აღწერა: უფერო, გამჭირვალე სითხე, დამახასიათებელი სუნით

გამოშვების ფორმა: 100 მლ პოლიეთილენის ფლაკონში,1 ლ პოლიეთილენის ფლაკონში და 1 მლ მინის ამპულაში.

ფარმაკოლოგიური თვისებები

აქტიურია კოქციდების მიმართ *(Eimeria acervulina, Eimeria brunette, Eimeria necatrix, Eimeria mitis, Eimeria adenoids, Eimeria meleagrimitis, Eimeria anceris, Eimeria truncata),* მათ შორის მდგრადი სხვა ანტიკოქციდური პრეპარატების მიმართ. ბიოკოქცი თბილსისხლიანი ცხოველებისთვის ზომიერად ტოქსიკურია. რეკომენდებულ და 10-ჯერ გაზრდილ დოზებში მიღებისას არ იწვევს ფრინველებში გვერდით მოვლენებსა და გართულებებს, არ აბრკოლებს კოქციდიოზის საწინააღმდეგო იმუნიტეტის ფორმირებას.

გამოყენების ჩვენებებები

გამოიყენება ბროილერის, საჯიშე ფრინველის, ინდაურის, ბატისა და იხვის კოქციდიოზის პროფილაქტიკისა და მკურნალობისთვის.

გამოყენების წესი და დოზები:

ბიოკოქცის გამოყენება ხდება 2 დღის განმავლობაში წყალთან ერთად დოზით 7მგ ტოლტრაზურილი ფრინველის 1კგ. ც.წ-ზე (28მლ 2.5% ბიოკოქცის ხსნარი 100კგ ც.წ-ზე), რაც ექვივალენტურია 2,5% 1მლ პრეპარატი გახსნილი 1 ლიტრ სასმელ წყალში, რომელიც ფრინველს ეძლევა დასალევად 24 სთ-ის ან 3 მლ პრეპარატი 1 ლ სასმელ წყალში 8სთ-ის განმავლობაში 2 დღე ზედიზედ. ***დაავადების მძიმე ფორმის მიმდინარეობისას მკურნალობის კურსი მეორდება 5 დღის შემდეგ.***

ბიოკოქცის სამკურნალო ხსნარი აქტივობას ინარჩუნებს 48სთ-ის განმავლობაში.

ბიოკოქცი გამოიყენება საკვებ დანამატებთან და ვიტამინებთან კომბინაციაში. პრეპარატი ხმარების წინ უნდა შეინჯღრეს.

გვერდითი მოვლენები: ჩვენების მიხედვით რეკომენდებულ დოზებში პრეპარატის გამოყენებისას გვერდითი მოვლენები არ გამოვლენილა.

უკუჩვენებები: არ გამოიყენება კვერცხმდებელ ქათმებში

განსაკუთრებული მითითებები:

პრეპარატი თავსებადია საკვებდანამატებთან, ვიტამინებთან და ფრინველის სამკურნალო სხვა საშუალებებთან.

ბიოკოქცთან მუშაობისას დაცული უნდა იქნას პირადი ჰიგიენის და ვეტერინარიულ პრეპარატებთან მუშაობის უსაფრთხოების ტექნიკით გათვალისწინებული წესები. პრეპარატის კანზე ან ლორწოვან გარსზე მოხვედრისას უნდა ჩამოირეცხოს წყლის ჭავლით.

დაყოვნების პერიოდი

ფრინველის სახორცედ დაკვლა შეიძლება პრეპარატის ბოლო გამოყენებიდან 8 დღის შემდეგ. აღნიშნულ ვადაზე ადრე ფრინველის იძულებით დაკვლის შემთხვევისას ხორცის გამოყენება დასაშვებია ძვლისა და ხორცის ფქვილის დასამზადებლად.

არ გამოიყენება კვერცხმდებელ ქათმებში!

შენახვის პირობები

ინახება მშრალ, სინათლისაგან დაცულ ადგილას, პრეპარატი უნდა ინახებოდეს მჭიდროდ დახურული ქარხნული შეფუთვით, არაუმეტეს 25°C ტემპერატურაზე.

შეინახეთ ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილზე.

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი.

მწარმოებელი: შპს "ბიოტეკსი", თბილისი, იუმაშევის ქ. № 8